ანალიტიკური წერა

III ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

კულტურული ცხოვრების განვითარების, აგრეთვე, შემოსავლის გაზრდის მიზნით M და N ქალაქებში კულტურის ცენტრების მოწყობა გადაწყდა.

M ქალაქის ცენტრში მდებარე ძველი, გაუქმებული ფაბრიკა მცირე გარემონტების შედეგად კულტურის სივრცედ გადაკეთდა. იქ დაიწყეს სხვადასხვა სახის კონცერტების გამართვა, პერიოდულად ეწყობოდა გამოფენები. ცენტრმა მალე მოიპოვა პოპულარობა და რეგიონისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

N ქალაქში კულტურის სივრცის მოსაწყობად დაანგრიეს ქალაქის ცენტრში მდებარე სამკერვალო ფაბრიკა, სადაც ადგილობრივი პროდუქცია იქმნებოდა და მის ნაცვლად კულტურის ახალი ცენტრი ააშენეს. იქ სისტემატურად იმართებოდა კლასიკური მუსიკის კონცერტები.

გატარებული ღონისძიებები N ქალაქისათვის ნაკლებად მომგებიანი აღმოჩნდა, ვიდრე M ქალაქისათვის.

იმსჯელეთ, რა შეიძლება ყოფილიყო ის მიზეზები, რომელთა გამოც კულტურის ცენტრის გახსნამ N ქალაქს უფრო ნაკლები მოგება მოუტანა, ვიდრე M ქალაქს.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

ვირტუალურ სივრცეში გამართული კონცერტი მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით უფრო შთამბეჭდავი და ემოციურად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მუსიკის მოყვარულთათვის, ვიდრე ადგილობრივი მუსიკოსების მიერ შესრულებული ცოცხალი მუსიკის კონცერტი.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემული საკითხის შესახებ; თქვენი პოზიციის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.